სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №GF-T/SSP/G-612

ქ. თბილისი

21 დეკემბერი 2018 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთი მხრივ, **სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“** - ს/კ №211324351 (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილის/პროგრამების დირექტორის ირმა ხონელიძის სახით და მეორე მხრივ სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო“ - ს/კ №204478948 (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ალექსანდრე ხვედელიძის სახით.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსყიდველმა, „აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის“ (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) მიერ დაფინანსებული „ტუბერკულოზის ყველა ფორმის ხარისხიან დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის მდგრადობის უზრუნველყოფა“ პროგრამის ფარგლებში გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, შემსყიდველის კუთვნილი ავტომობილისთვის (Hyundai IX35 სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომერი MM369VV) განახორციელა სათადარიგო ნაწილების შესყიდვა (CPV 34300000 - ნაწილები და აქსესუარები სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ძრავებისათვის) შესყიდვა. რაზედაც მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება, მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი - 1,301.00 (ერთი ათას სამასერთი) ლარად (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი“).

2.2. წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების საფუძველია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა“ პუნქტი.

3. შესყიდვის ობიექტის დასახელება და რაოდენობა.

3.1. შესყიდვის ობიექტს დეტალური მახასიათებლები მითითებულია ფასების ცხრილში (დანართი №1), რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4. ხელშეკრულების ღირებულება და დაფინანსების წყარო

4.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1,301.00 (ერთი ათას სამასერთი) ლარს, რომელიც მოიცავს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს.

4.2. საქონლის ერთეულის ღირებულება მოცემულია ფასების ცხრილში (დანართი №1), რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4.3. ხელშეკრულების დაფინანსების წყაროა აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის მიერ დაფინანსებული პროგრამა - „საქართველოში აივ/შიდსის პრევენციის, მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერება და მდგრადობის უზრუნველყოფა“ – (საბიუჯეტო ხაზი - 110 NHP).

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განსახორციელებლად შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი ან/და საამისოდ უფლებამოსილი პირი.

5.2. ინსპექტირების განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა საჭირო საბუთის წარდგენა, საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტა ეკისრება მიმწოდებელს.

6. საქონლის მიწოდების პირობები

6.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება ერთჯერადად ან ეტაპობრივად, არაუგვიანეს 2018 წლის 28 დეკემბრისა. შემსყიდველის მიმართვის შესაბამისად.

6.2. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის მისამართზე : ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის მე-12 კმ.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. მიღება-ჩაბარების წინ განხორციელდება მიწოდებული საქონლის ინსპექტირება, რომელსაც განახორციელებს ხელშეკრულების 5.1. პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილი პირ(ებ)ი.

7.2. საქონლის მიწოდებაზე ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერენ მხარეთა მიერ სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები.
7.3. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებისათვის, მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა მიწოდებული საქონლის დასახელების, რაოდენობის, ერთეულის ფასის და საერთო ღირებულების მითითებით. საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაში წინამდებარე ხელშეკრულების ნომრის მითითება სავალდებულოა.
7.4. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველისათვის 7.3. პუნქტში ჩამოთვლილი დოკუმენტ(ებ)ის წარდგენა საქონლის მიწოდების პარარელურად. პასუხისმგებლობა შემსყიდველის მიერ აღნიშნული დოკუმენტაციის დაგვიანებით მიღების ან მიუღებლობის შედეგად წარმოქმნილი ყველა ხარჯებისათვის ეკისრება მიმწოდებელს.

8. ანგარიშსწორება
8.1. ანგარიშსწორების ფორმაა უნაღდო ანგარიშსწორება საქონლის მიწოდების და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში.
8.2. ანგარიშსწორება ხორციელდება ერთჯერადად ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის შესაბამისად.
8.3. ანგარიშსწორების საფუძველს წარმოადგენს: მიღება-ჩაბარების აქტი, რისთვისაც მიმწოდებელი ვალდებულია დადგენილი წესით წარმოადგინოს წინამდებარე ხელშეკრულების 7.3. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია.

9. მხარეთა უფლება-მოვალეობანი
9.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი.
9.2. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება საქონლის ხარისხის და/ან მიწოდების პირობების გაუარესების გამო, აგრეთვე მე-10 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში;
9.3 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს:
ა) მიწოდებული საქონლის ღირებულების დროული გადარიცხვა მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.
9.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების დროული გადარიცხვა მის საბანკო ანგარიშზე;
9.5. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ხარისხის საქონლის მიწოდება შემსყიდველისათვის წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;
ბ) უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გადახდა და არ მოსთხოვოს შემსყიდველს სხვა არავითარი გადასახადის ან დამატებითი თანხის გადახდა;
გ) გაეცნოს და დაიცვას გლობალური ფონდის (დონორის მიერ პერიოდულად განახლებადი და გლობალური ფონდის ვებ. გვერდზე http://www.theglobalfund.org/en/documents/governance/ განთავსებული) „მიმწოდებლების ქცევის კოდექსი" და ასევე უზრუნველყოს მისი გაცნობა ქვეკონტრაქტორებისთვის.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის
10.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულებისათვის მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლოს გადახდა.
10.2 ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გადაცდენის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლოს გადახდა მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 0,1%-ს ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით.
10.3 იმ შემთხვევაში, თუ ერთი მხარის მიერ შეუსრულებელი ვალდებულება გადააჭარბებს 30 კალენდარულ დღეს, მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს მიყენებული ზარალის ანაზღაურება.
10.4. იმ შემთხვევაში, თუ მხარე ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებას, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს ოდენობით.
10.5. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
10.6. მხარეები ვალდებულებას იღებენ უზრუნველყონ პირგასამტეხლოს თანხის გადახდა წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა და ფასები
11.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება უნდა გაფორმდეს წერილობით, ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. ფორს-მაჟორული გარემოებები

12.1. ხელშეკრულების საფუძველზე არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ (ნაწილობრივ) შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე გადაულახავი ძალა, რომლის წარმოშობაზე ხელშეკრულების მონაწილე მხარეები პასუხს არ აგებენ და რომლის არსებობის ან წარმოშობის შესახებ ხელშეკრულების დადების მომენტში არ შეეძლოთ სცოდნოდათ.

12.2. გადაულახავ ძალად ჩაითვლება შემდეგი (და არა მხოლოდ):

ა) სტიქიური უბედურებანი (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, შტორმი და სხვა);

ბ) გამოცხადებული ან გამოუცხადებელი ომი, სამოქალაქო არეულობა, ნებისმიერი სახის საომარი მოქმედებები, საგანგებო მდგომარეობა;

გ) ეპიდემიები;

დ) ბლოკადა ან ნებისმიერი ეკონომიკური ემბარგო;

ე) ხელისუფლების ნებისმიერი ერთეულის ან ხელისუფლების მიერ საამისოდ კომპეტენტურად განსაზღვრული ორგანოს გადაწყვეტილება და ისეთი ნორმატიული აქტის გამოცემა, რომელიც ზემოქმედებს მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და ცვლის, წყვეტს ან აჩერებს ხელშეკრულების დებულებებსა და პირობებს.

12.3. ფორს-მაჟორული მოვლენა დადასტურებული უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ.

12.4. ფორს-მაჟორული მოვლენების წარმოშობის შესახებ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის ხელთ არსებული საკომუნიკაციო საშუალებით (ტელეფონი, ფოსტა, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, კურიერი და სხვა).

12.5. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა ავტომატურად არ იწვევს ხელშეკრულების გაუქმებას. მხარეები ვალდებულნი არიან განსაზღვრონ წინამდებარე ხელშეკრულების ფორს-მაჟორულ მოვლენებთან მისადაგების საკითხი.

12.6. ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყოვნებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

12.7. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პირობებში, ვალდებულებების შესრულების პერიოდი შეჩერდება იმ დროით, რა დროსაც გასტანა ასეთმა გარემოებებმა თუ მხარეთა შორის არ იქნა მიღწეული სხვაგვარი შეთანხმება.

12.8. მხარე არ თავისუფლდება პასუხისმგებლობიდან, თუ კი ფორს-მაჟორული მოვლენის დადგომა გამოწვეულია მისი ბრალით, ან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება შესაძლებელი იყო ასეთ გარემოებათა დადგომამდეც გონივრულ ვადებში.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1 მხარეთა შორის წამოჭრილი დავა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.3. თუ მხარეები ვერ შეძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ხელშეკრულების ვადის გასვლით, ხელშეკრულების პირობების შესრულებით ან მხარეთა შეთანხმებით.

14.2. წინამდებარე ხელშეკრულების 9.5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულების უგულვებელყოფის შემთხვევაში.

14.3. მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში ინიციატორი მხარე ვალდებულია მეორე მხარეს წერილობით 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე აცნობოს აღნიშნულის თაობაზე. ხელშეკრულების შეწყვეტას უნდა გააჩნდეს ობიექტური დასაბუთება.

14.4. წერილობითი შეტყობინება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან ხელშეკრულების შეწყვეტამდე.

14.5. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ასევე, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ცალკეულ შემთხვევებში.

15. სხვა პირობები

15.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

15.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

15.3. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

15.4. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების და ა.შ. თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

15.5. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

15.6. ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

15.7. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან", ორი - „შემსყიდველთან".

15.8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2019 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

16. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი	სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო"
ს/კ – №211324351 ქ. თბილისი, 0198 კახეთის გზატკეცილი №99.	ს/კ №204478948 ქ. თბილისი, თვალჭრელიძის ქ. №32
სახელმწიფო ხაზინა ბ/კ – TRESGE22 ა/ა – GE24NB0330100200165022	სს. „თი ბი სი ბანკი" ბ/კ – TBCBGE22 ა/ა – GE15TB1100000110467697
ირმა ხონელიძე გენერალური დირექტორის მოადგილე /პროგრამების დირექტორი	ალექსანდრე ხვედელიძე დირექტორი

ინვოისი # HФФР-032645
მიღება-ჩაბარება

შემოსვლის თარიღი: 21.12.2018
ჩაბარების თარიღი: 21.12.2018

მიმწოდებელი:	სს ჰიუნდაი ავტო საქართველო
მისამართი:	
საბანკო რეკვიზიტები:	GE15TB1100000110467697, თიბისი ბანკი
კოდი:	TBCBGE22
ა/ა:	GE15TB1100000110467697
საიდ. კოდი:	204478948

მიმღები:	სსიპ ლ.საყვარელიძის სახ.დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობი
მისამართი:	
ს/კ:	211324351

ა/მ მარკა:	Hyundai Tucson
სერია-ნომ:	mm369vv
გარბენი:	

#	საათადარიგო ნაწილების დასახელება	რაოდენობა	ღირებ.	სამუშაოს დასახელება	რაოდენობა	ღირებ.	თანხა
1	ძრავის ბალიში მჯ	1	210				210
2	BRACKET ASSY-TRANSMISSION MTG	1	420				420
3	დინამოს ღვედი	1	140				140
4	უკანა სვლის ნათურის ჩამრთველი	1	45				45
5	ნათურა H4	1	27				27
6	ჰალოგენი ტუმანიკის IX35	1	30				30
7	BOLT-HUB	2	7				14
8	საბურავის სამაგრი გაიკა	2	5				10
9	სანთელი	4	25				100
10	საწვავის ფილტრი	1	80				80
11	მაპ სენსორი	1	160				160
12	ჰაერის ფილტრი	1	40				40
13	BLADE ASSYRR WIPER	1	25				25
ჯამი							1,301

მიმწოდებელი:	სს ჰიუნდაი ავტო საქართველო
სერვისის დირექტორი:	ალექსანდრე ხვედელიძე

მიმღები: სსიპ ლ.საყვარელიძის სახ.დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთ